ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინასო-საბიუჯეტო, იურიდიულ საკითხთა და ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისიების გაერთიანებული სხდომის

ო ქ მ ი № 36

სხდომის ჩატარების დრო:
3 ივლისი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
საკონფერენციო დარბაზი, ოთახი 210.
ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი.**

ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები:

პაატა ლილუაშვილი, ბექა ქებულაძე, ბაქარ მახარაძე, დიმიტრი მხეიძე, ხათუნა არველაძე.

სულ: 6 წევრი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე.**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები:

ზაქრო მამასახლისი, ამირან კოპალეიშვილი, ელეონორა არჩაია, ირაკლი შენგელია, მაია სიმონიძე, დარეჯან ფხაკაძე, პაატა ლილუაშვილი, მერაბ ჭოხონელიძე.

სულ: 9 წევრი

ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე **ამირან კოპალეიშვილი.**

ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრები:

ამირან კოპალეიშვილი, მაია სიმონიძე, თეიმურაზ ნადირაძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, ზაქრო მამასახლისი, ნინო ბიბილეიშვილი, გრიგოლ შუშანია.

სულ: 7 წევრი.

არ ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები:

გია ბასილაძე, რომან ქვაჩაკიძე, თედო მესხი, ლაშა შალამბერიძე, კახაბერ გაბუნია.

სულ 5 წევრი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები:

გია ბასილაძე, კობა გურული, გიორგი მანაგაძე, გიორგი კილაძე, დავით ბახტაძე, რომან ქვაჩაკიძე, მარეხი ნიჟარაძე.

სულ: 7 წევრი.

ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, მამუკა რიჟამაძე, ბესიკ ხამაშურიძე, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე, კობა გურული.

სულ: 7 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **რუსუდან ჩინჩალაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი** და ამავე სამსახურის განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ირაკლი გოგლიჩიძე.**

სხდომა გახსნა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** და წარმოადგინა კომისიის სხდომის შემდეგი **დღის წესრიგი:**

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ანგარიში

ქალბატონი რუსუდან ჩინჩალაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა
და სამშენებლო ნებართვების სამსახურის
ხელმძღვანელი

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ეკონომიკური განვითარების და ტრანსპორტის განყოფილების ანგარიში

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა
და ტრანსპორტის მართვის სამსახურის
ხელმძღვანელი

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის - **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ანგარიში**

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **რუსუდან ჩინჩალაძემ.**

(ანგარიში თან ერთვის)

რუსუდან ჩინჩალაძემ განმარტა: - „მოგახსენებთ, მოქმედ, არქიტექტურულ და სამშენებლო კანონმდებლობაში მიმდინარე და დაგეგმილი ცვლილებების გავლენაზე განაშენიანების გენერალური გეგმის კონცეფციის არსებობის გათვალისწინებით.

- მნიშვნელოვანი სიახლეები ამოქმედდა 2023 წლის 1 ივლისიდან, (ენერგოეფექტურობა, მანამდე მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი) რომელთა გათვალისწინება სამსახურის მიერ უნდა განხორციელდეს როგორც ყოველდღიურ საქმიანობაში ასევე განაშენიანების გენერალური გეგმის საპროექტო დავალების შექმნის პროცესში.

ბ. 2023 წლის ორი კვარტლის განმავლობაში სამსახურის მიერ განხილული იქნა (სტატისტიკა):

- მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (გაპი) -24.
- მშენებლობის ნებართვა- 388, ამათგან თანხმობა გაიცა 139 პროექტზე.
- დეტალური შეტყობინება (II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები) - 129.
- ლეგალიზება (2007 წლამდე აშენებულ უნებართვო მშენებლობათა კანონით დად გენილი წესის დაცვით შეთანხმება) 48.
- I კლასის ობიექტთა შეთანხმება 486, თანხმობა გაიცა 127-ზე.
- სამართლებრივი საკითხები - 40.
- შეტყობინება არქიტექტურული ობიექტის შესახებ -30.

გ. სამსახურის მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობების მიმოხილვა.

- სამსახურის მიერ დამუშავდა გარემოს დეტალური გეგმის დოკუმენტაციასთან მიახლოებული მართვის დოკუმენტები ლადო ასათიანისა და ნიკეას ქუჩების დღეისათვის გაუნაშენიანებელ ტერიტორებზე. ამ დოკუმენტთა შექმნის პროცესში განხორციელდა მთელი რიგი სამუშაოები მხოლოდ სამსახურის თანამშრომელთა ჩართულობით.
- სამსახური აქტიურად არის ჩართული ყველა საგრანტო კონკურსის განხორციელების პროცესში თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
- სამსახურის მიერ იქნა იდენტიფიცირებული არაერთი კედელი, რომელთა მოხატვა განხორციელდა და ამ ეტაპზეც მიმდინარეობს.
- სამსახურში მოქმედებს ცხელი ხაზი, სადაც ყოველდღიურად 20 მდე ზარის მიღება ხდება, შემდეგ პრობლემათა იდენტიფიცირება და უკუკავშირი ხორციელდება იმავე დღეს.

- ნებისმიერ მოქალაქეს, საკუთარი და სამსახურის მიერ განხორციელებული ქმდებების შესახებ ეგზავნებათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები, ამ უკანასკნელი პროცესის გამართულად მიმდინარეობაზე სამსახური თავად არის პასუხისმგებელი.

დ. განაშენიანების გენერალური გეგმის კონცეფციის მიღება და განაშენიანების გენერალური გეგმის სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების დასაწყებად მზადების პროცესის მიმოხილვა.

- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2023 წლის მარტს მიღებულ იქნა ქუთაისის განაშენიანების გენერალური გეგმის კონცეფცია, ხედვის, სტრატეგიისა და სიცოცხლისუნარიანობის შეფასების მდგენელებთან ერთად. ამჟამად მიმდინარეობს უშუალოდ განაშენიანების გენერალური გეგმის შესაძენად საჭირო პროცედურების განხორციელება, რათა კანონით დადგენილი წესით გამოცხადდეს სახელმწიფო შესყიდვა, კერძოდ: კონკურსი.

ე. „ქუთაისის დაბალემიასიანი განვითარება ურბანული დაგეგმარების გზით“ პროექტის ფარგლებში შესაძლებლობათა და ვალდებულებთა მიმოხილვა.

- 2023 წლის ორი კვარტლის ჯამში შედგა ორი მნიშვნელოვანი შეხვედრა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ორივე მიმართულების გენერალურ გეგმათა საერთო გადაკვეთის წერტილთა ძიება, მათი ერთი მიმართულებით განხორციელებისა და თავსებადობის მიზნით.

ვ. „კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების“ ირგვლივ მსჯელობა.

- კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების მნიშვნელობისა და ქალაქის ცხოვრებაში მათი როლის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით სამსახურის უშუალო ჩართულობით განხორციელდა პროექტი: „ამეტყველებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები“, რომელიც პირველ ეტაპზე მოიცავდა 46 ობიექტს, ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ოფიციალურად რეგისტრირებულია 323 ძეგლის სტატუსის მატარებელი ობიექტი. შესაბამისად პროექტზე მუშაობა გრძელდება, ამ ეტაპზე მხოლოდსამსახურის ჩართულობით.
- სამსახური აქტიურადაა ჩართული თავად მერიის მიერ ნაწარმოებ, კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა აღდგენა-რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროცესებში.

ზ. სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურში განხორციელებული კონკურსის შედეგების მიმოხილვა და სამომავლო სამოქმედო გეგმების გაცნობა.

- ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად, სამსახურს შეემატა 5 ძლიერი გამოცდილი კადრი მისი საქმიანობის ყველა მიმართულებაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქალაქმშენებლობითი პოლიტიკის შემმუშავებელი დოკუმენტაციის მომზადებასა და შესაბამისი პროცესების მართვას, სამსახური შეძლებს საკუთარი ძალებით.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

მაია სიმონიძე: - „ენერგოეფექტურობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დამათბუნებლების გამოყენება სავალდებულოა?“

რუსუდან ჩინჩალაძე: - „დიახ, ეს დადგენილი სტანდარტია. დიდი ყურადღება მიექცევა რა მასალები აქვს მშენებელს გამოყენებული. ამის შემდეგ იღებს შტრიხ კოდს. ჩვენ ყველა მათგანთან ვახდენთ გასაუბრებას. გამკაცრებული ეს მოთხოვნები არ ეხება იმ დოკუმენტებს, რომლებიც პირველ ივლისამდე შემოვიდა“.

დიმიტრი მხეიძე: - „ეს მოთხოვნები ასოცირების ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული?“

თეა ჯუღელი: - „ეს გახლავთ ჩვენს მიერ მიღებული „მწვანე შეთანხმება“ და მისი მოთხოვნებია“.

დიმიტრი მხეიძე: - „მე მესმის, რომ ცივილურ სტანდარტებშიც უნდა ჩავჯდეთ, მაგრამ არიან გაჭირვებულებიც. თუ ადამიანმა ეტაპობრივად, ნაწილ-ნაწილ ააშენა, მაშინ რას ვაკეთებთ? ალბათ რეგულაციების გამკაცრება მოწყვლად ჯგუფს დააზარალებს“.

რუსუდან ჩინჩალაძე: - „ასეთი ეტაპობრივი მშენებლობა „რეკონსტრუქციის“ ეგიდით იქნება და მას არ შეეხება“.

იუზა უგულავა: - „ცხადია, რეგულაციების გამკაცრება ფასებს ოდნავ გაზრდის, მაგრამ მეტ კომფორტს და დაცულობას მივიღებთ“.

ბაქარ მახარაძე: - „რაც არ უნდა ვიმსჯელოთ, კანონში რაც წერია, უნდა შესრულდეს. თქვენ ისაუბრეთ საიტის შესახებ. ცვლილებებთან დაკავშირებით თქვენ კი ხართ მზად, მაგრამ მეორე მხარის მზადყოფნა როგორია?“

რუსუდან ჩინჩალაძე: - „ცვლილებებიდან გამომდინარე, მათ მიეცათ პერიოდი. ეკონომიკის სამინისტროს პატრონაჟით გადამზადდა არქიტექტორები ქვეყნის მასშტაბით. სახელმწიფო ხელს უწყობს ამ პროცესს. ვფიქრობთ, მეზობლური დავებიც შემცირდება, რაზეც ამჟამად მოდის პრეტენზიებით შემოსული განცხადებების 75%“.

ბაქარ მახარაძე: - „ხომ არ გახანგრძლივდება ამ ცვლილებებით პროცესი?“

რუსუდან ჩინჩალაძე: - „პროცესების დიდი ნაწილი ელექტრონულად მიმდინარეობს. საიტზე ცალკეული ეტაპების გავლა სავალდებულოა. ჩვენ პროცესს არ დავაბრკოლებთ. თუ ეჭვს შევიტანთ, გადავამოწმებთ“.

ხათუნა არველაძე: - „თუ ძველი სახლია და არ არის პროექტი ლეგალიზებული, რამდენად ეხება მას ეს ცვლილებები?“

რუსუდან ჩინჩალაძე: - „ამისათვის რამდენიმე ვერსია არსებობს და დასალეგალიზებელ სახლებს ეს არ უნდა შეეხოს, რადგან რეკონსტრუქციაში გადის. ჩვენ შევქმენით პროგრამა, რომელიც ავტომატურად შეატყობინებს მენაშენეებს, რომ ვადა გასდით. ეს გააიოლებს დამუშავების პროცესს“.

ბაქარ მახარაძე: - „დოკუმენტაცია როცა შემოდის თქვენთან, შეიძლება სხვადასხვა ქვედანაყოფში განხილვა დაჭირდეს. ეს ხომ შეიძლება დამაბრკოლებელი გახდეს, მაგალითად, ერთ-ერთმა დააბრკოლა, დაუბრუნდა და შემდეგ მეორემ დააბრკოლა და ა.შ.“

რუსუდან ჩინჩალაძე: - „ეს იყო გამოწვევა და ამისთვის 6 თვე დაგვჭირდა შაბლონების დასანერგად. თუ შუალედური დასკვნის შემდეგ არ დადგინდა ხარვეზი, ის შეიძლება აღმოჩნდეს შემდგომ დოკუმენტებში. არის კონსტრუქციული დასკვნის ცვლილების შემთხვევები, რასაც ვაბრუნებთ მათში სხვა პარამეტრების არსებობის გამო“.

ბაქარ მახარაძე: - „თუ ხდება თქვენს მიერ სასამართლო განხილვების პრეცედენტების გაზიარება?“

რუსუდან ჩინჩალაძე: - „ეს იურიდიული საკითხია, რომელიც, ვფიქრობ ჩვენთან კარგად არის ორგანიზებული. ნებისმიერი სასამართლო პრაქტიკიდან ჩვენ ვერ ვიღებთ ინფორმაციას,

თუმცა პრეცედენტებს ვსწავლობთ და ვიზიარებთ. ხშირია ასეთი საკითხები ამხანაგობებთან მიმართებით.“

პაატა ლილუაშვილი: - „როგორც ჩემთვის ცნობილია, საქმისწარმოებისას იურიდიული განყოფილება ვიზირების დროს ამოღებულია. რამ გამოიწვია აღნიშნული?“

რუსუდან ჩინჩალაძე: - „საბოლოო დასკვნის მაფორმირებელ კომისიაში შევიყვანეთ იურისტი და ამით მოქნილი გავხადეთ პროცესი“

თეა ჯუღელი: - „ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ აუდიტის დასკვნაზეც, სადაც მითითებულია, რომ მერიამ უნდა შეიმუშაოს დოკუმენტი მშენებლობის ნებართვების შესახებ. დოკუმენტით უნდა განისაზღვროს სამშენებლო შესყიდვების კონტროლის ეტაპები, მონიტორინგი, კონტროლის მექანიზმები, რაც ხელს შეწყობს ხარვეზების აღმოფხვრას“.

იუზა უგულავა: - „მიმაჩნია, რომ ამ დოკუმენტში ბევრი არასწორი და სადაო ფორმულირებაა. რაც შეეხება ამ ნაწილს, იგულისხმება იმ სამუშაოების შესყიდვა, რომელსაც ჩვენ ვუკვეთავთ“.

თეა ჯუღელი: - „რთული მდგომარეობაა კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შესულ ობიექტებთან დაკავშირებით. იქნებ რაიმე მექანიზმი შევიმუშაოთ, მოვიწვიოთ სპეციალისტები შესაბამისი უწყებიდან, ვაჩვენოთ ეს ობიექტები“.

იუზა უგულავა: - „ამასთან დაკავშირებით მინდა ერთი შემთხვევა გავიხსენო: 2 წლის წინ იყო გუბერნატორის კოორდინაციით შეხვედრა ამ საკითხებზე. მე წარმოვადგინე 29-ე ბაღის საკითხი, რომელიც იყო პრობლემური. ძეგლის სტატუსის შემთხვევაში ყოველთვის რთულდება ნებისმიერი პროცედურა. იყენებენ და მიგვითითებენ კანონის ჩანაწერს, რომლითაც გვავალებენ თვითმმართველობას დავიწყოთ ასეთ ობიექტებზე მუშაობა“.

თეა ჯუღელი: - „ოქროს ჩარდახი ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ იყენებენ არსებულ რეგულაციებს ჩვენს საზიანოდ“.

რუსუდან ჩინჩალაძე: - „კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მოვლა-პატრონობა პრობლემურია. სულ 323 ძეგლია. სააგენტოს სურს შექმნას დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლობა, რომელიც გარკვეულ პრობლემებს მოხსნის“.

თეა ჯუღელი: - „ჩვენ არავინ გვიშლის დოკუმენტების, მიმართვების, წერილების შემუშავებას. მოვითხოვოთ, რომ ამაზე იფიქრონ, ესეც დეცენტრალიზაციის კომპონენტია“.

რუსუდან ჩინჩალაძე: - „ვფიქრობ, მნიშვნელოვანია სამუშაოების გაწევა მოქალაქეთა ცნობიერების ასამაღლებლად. არ უნდა შევაძულოთ ადამიანებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. ჩვენ QR კოდები განვათავსეთ ქალაქის 46 ობიექტში. ვფიქრობ, კარგი პროექტი გამოგვივიდა წერეთლის უნივერსიტეტის ჩართულობით“.

ირაკლი შენგელია: - „მნიშვნელოვანია, რომ იხვეწება კანონმდებლობა, მათ შორის სხვადასხვა ქალაქებისათვის სასიკეთო ძვრები შეინიშნება. სასურველია, ჩვენი მოსაზრებებიც მიეწოდოს საკომიტეტო მოსმენებს, გაიზარდოს ჩვენი მონაწილეობა ამ პროცესებში, რომ დეველოპერების ინტერესი არ შესუსტდეს ქალაქის მიმართ. მაქვს ორი შეკითხვა: რამდენი აქტია თქვენთან გასაჩივრებული და თუ იურისტი ცალკე ვიზირებას არ აკეთებს და კომისიაშია, მაშინ სადაო განხილვებზე ვინ მონაწილეობს?“

რუსუდან ჩინჩალაძე: - „სულ 12 საქმე გასაჩივრდა და ყველა ჩვენი მოგებით დასრულდა. კომისიაში იურისტის ჩართვამ პროცესი გაამარტივა. როცა კონკრეტული სადაო განხილვები მიმდინარეობს, ქალაქის მერმა შეიძლება განსაზღვროს იურისტი, რომელიც ჩვენს ინტერესს დაიცავს.“

ირაკლი შენგელია: - „არსებობს ქონებები თანასაკუთრებით, ამხანაგობები. თუ იყო შემთხვევები ნებართვის გაცემისა წევრთა თანხმობის გარეშე და თუ მომხდარა ნებართვის გაცემა მესამე პირზე?“

რუსუდან ჩინჩალაძე: - „არქიტექტურული პროექტი ერთ პირზე იცემა. ესკიზების შემოტანა სხვადასხვა არქიტექტორს შეუძლია. კანონმდებლობა უშვებს ნებისმიერმა წევრმა ნახოს აღნიშნული დოკუმენტაცია“.

მაია სიმონიძე: - „მეტად საპასუხისმგებლო სამსახურს ხელმძღვანელობს ქალბატონი რუსუდანი და მას მხარდაჭერას ვუცხადებ. იგი პრინციპული და სამართლიანია ყველასთან მიმართებით“.

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ანგარიში.

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის - **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ეკონომიკური განვითარების და ტრანსპორტის განყოფილების ანგარიში**

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(ანგარიში თან ერთვის)

თინათინ ბერიშვილმა განმარტა: „2023 წლის განმავლობაში ეკონომიკური განვითარების და ტრანსპორტის განყოფილება საქმიანობას წარმართავდა სამსახურის დებულების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში

დაგეგმილი ღონისძიებების, გაეროსა და ევროკავშირის პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ მეორე ფაზის და სტრატეგიების ფარგლებში.

- ✓ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ექსპერტებთან ერთად შემუშავდა მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტი 2030.
- ✓ დასრულების ეტაპზეა ქუთაისის მუნიციპალიტეტის კლიმატის ცვლილების საადაპტაციო და სამიტიგაციო დოკუმენტი 2030.
- ✓ მერები ეკონომიკური ზრდისთვის ფარგლებში (M4EG) გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით შემუშავებული „მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელით“ განსაზღვრული პირველი ტრანშის ფარგლებში სრულდება ნარჩენების სეპარირების ცენტრების მოწყობა და ელექტრომობილებისათვის ელექტროდასამუხტი წერტილების ინსტალაცია. მომზადდა დოკუმენტაცია მეორე ტრანშის მისაღებად, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია „ სატრანსპორტო კომპანიის“ შენობის ენერგოეფექტურ შენობად გარდაქმნა, სადეპოზიტო აპარატებს ინსტალირება და ეკოვალუტის ბონუს სისტემის დანერგვა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებით მოცული არის ქალაქ ქუთაისის დასახლებული უბნების 92 %-მდე. ამჟამად ფუნქციონირებს M_3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების 12 მარშრუტი, ყოველდღიურად მუშაობს 54 ავტობუსი (რეზერვი 6 ავტობუსი), ამ მარშრუტებზე ოპერირებას ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია“. M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების 33 მარშრუტიდან 9 მარშრუტზე ყოველდღიურად მუშაობს 9 მიკროავტობუსი (რეზერვი 1 მიკროავტობუსი), თითოეულ მარშრუტზე მუშაობს 1 მიკროავტობუსი) ოპერირებას ახორციელებს შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია“. დანარჩენ M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების 24 მარშრუტზე ყოველდღიურად მუშაობს 99 მიკროავტობუსი (რეზერვი 32 მიკროავტობუსი) ოპერირებას ახორციელებს კერძო გადამზიდავები, სულ 13 გადამზიდავი.

ავტობუსის 108 გაჩერებაზე მოწყობილ მგზავრთა მოსაცდელ ჯიხურებთან დამონტაჟებულია და ფუნქციონირებს ელექტრონული ტაბლოები, რომელიც ავტობუსების მოძრაობის რეალური პარამეტრების მიხედვის უზრუნველყოფს ტაბლოებზე ავტობუსების მიწოდების დროების დაფიქსირებას.

უმეტეს მგზავრთა მოსაცდელებთან დახაზულია ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელები. ამჟამად ქალაქ ქუთაისში მიმდინარეობს ქუჩების კეთილმოწყობისა და საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტები, რომლის ფარგლებში დაგეგმილია საგზაო ნიშნების დამონტაჟებისა და გზის სავალ ნაწილებზე მონიშვნითი სამუშაოების ჩატარება. ამ პროექტში გათვალისწინებულია დარჩენილ 25 მგზავრთა მოსაცდელთან ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელების მონიშვნითი სამუშაოების ჩატარება.

მუნიციპალური ავტობუსების მოძრავი შემადგენლობა (60 ავტობუსი და 10 მიკროავტობუსი) სრულად არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის ეტლით მოსარგებლე პირების ტრანსპორტირებისათვის.

დაგეგმილია შშმ პირებისათვის ადაპტირებული გაჩერებების მოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ტრანსპორტის გრაფიკის გამოცხადებისთვის გაჩერებებზე ხმოვანი სიგნალები არ არის დამონტაჟებული. ამ ეტაპზე მგზავრებისათვის ავტობუსების მოძრაობის გრაფიკების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება მძღოლების მიერ ავტობუსებში.

მოქმედ და ახალ მარშრუტებზე დაზუსტებული იქნა ავტობუსების ყოველდღიური რაოდენობა და გაანგარიშებული იქნა მოძრაობის ინტერვალები. დღის განმავლობაში მგზავრთნაკადის დინამიკის მაჩვენებლების მიხედვით შედგენილი იქნა მარშრუტებზე ავტობუსების მოძრაობის განრიგები;

2021-2023 წლების განმავლობაში მარტისა და აპრილის თვეებში მოქმედ საქალაქო მარშრუტებზე ჩატარდა მგზავრთნაკადების ქრონომეტრაჟი და შემუშავებული იქნა მგზავრთნაკადის კვლევის ახალი მეთოდოლოგია. კვლევის შედეგების მიხედვით დაზუსტდა მარშრუტებზე ავტობუსების ყოველდღიური რაოდენობა და მოძრაობის გრაფიკები;

მომზადდა და განხორციელდა პროექტები ავტობუსების გაჩერებებისა და ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელების საგზაო მონიშვნითი სამუშაოების ჩასატარებლად;

ჩატარდა ავტობუსების გაჩერებებზე მგზავრთა მოსაცდელების (სულ 111 ერთეული) არსებული მდგომარეობების მონიტორინგი და მოხდა მათი დაზიანებების აღწერა;

მომზადებულია ქალაქ ქუთაისის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესი“;

მომზადებულია გარდამავალი პერიოდისათვის (2023-2024 წლები) ქალაქ ქუთაისის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) მარშრუტების სქემების, ნებართვის გაცემის საწყისი ფასებისა და ავტობუსების გაჩერებების პუნქტების დამტკიცების შესახებ“;

დასრულების სტადიაში სანებართვო საქმიანობის უფლების მინიჭების თაობაზე გადამზიდავ კომპანიებთან ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი. ამჟამად, მიმდინარეობს ავტობუსების ტექნიკური მდგომარეობების შემოწმება, კომპანიების მიერ წარმოდგენილი სანებართვო ტექნიკური რეესტრის მონაცემების მიხედვით.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

გრიგოლ შუშანია: - „სამგზავრო ბარათებთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ ქსელში არ არის და ამ მხრივ პრობლემებია“.

ბაქარ მახარაძე: - „ბანკომატები, რომლის მეშვეობით მოქალაქეს შეაქვს თანხა ბარათზე, არ არის გამართულ მდომარეობაში, მაგალითად სულხან-საბას გამზირზე. კარგი იქნება თუ ამ საკითხს გავაკონტროლებთ“.

იუზა უგულავა: - „გადავამოწმებ და დავარეგულერებ ამ პრობლემას. ალბათ მომავალ წელს ჩვენი შპს-ის მეშვეობით მოვახარხებთ სამგზავრო ბარათების დამზადებას, რომ ბანკებთან არ გვქონდეს ხშირი შეხება, ასეთია თბილისის გამოცდილებაც - თავიდან დაამზადა ბანკმა, მაგრამ ახლა ამზადეს შპს და თვითონ ყიდის ან ჩუქნის მოწყვალდ ჯგუფს (სოციალურად დაუცველს, პენსიონერს).“

თეა ჯუღელი: - „ბარათებთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, რაიმე მონიტორინგს ხომ არ ვაკეთებთ მარაგებთან დაკავშირებით? კარგი იქნება ქალაქის შემოსასვლელებში განთავსებულ დიდ სავაჭრო ობიექტებში განვსაზღვროთ ის, ვინც შეამოწმებს არის თუ არა მარაგი, რომ მოქალაქე არ დაგვრჩეს უკმაყოფილო, რადგან ბანკი არ არის ამით დაინტერესებული“.

იუზა უგულავა: - „თუ ჩვენ ბარათის დამზადებას დავავალებთ შპს-ს აგრეთვე განუსაზღვრავთ, რომ ყველა ქალაქის შემოსასვლელი მოიცვას, პრობლემა მოგვარდება“.

თეა ჯუღელი: - „როცა ერთია მონოპოლისტი ბაზარზე, ის არის დომინირებულ მდგომარეობაში. თბილისშიც იყო მსგავსი შემთხვევა, მხოლოდ საქართვლოს ბანკის ბარათით შეიძლებოდა სამგზავროს გადახდა, მაგრამ როგორც ჩანს დარეგულირდა“.

იუზა უგულავა: - „გამარჯვებულ კომპანიას მისცეს უფლება, რომ გაეფორმებინა ხელშეკრულება. ჩვენთან გამარჯვებული კომპანია არის „თი-ბი-სი“ ბანკი, რომელმაც ეს საქმე ვერ მოაგვარა სხვა ბანკებთან, ვინაიდან ისინი ითხოვენ, რომ გადაუხადოს მათ იმაზე მეტი, რაც მას ღირებულებით აქვს განსაზღვრული. ადგილობრივი თვითმმართველობის მოთხოვნა იყო, რომ ყველა ბანკთან თუ ვერ ხერხდება, „ლიბერთი“ ბანკთან მოხდეს შეთანხმება, რითაც მოგვარდება საპენსიო ასაკის ბენეფიციართა პრობლემა. თბილისის პრაქტიკას თუ გამოვიყენებს შპს ბანკს წარმოუდგენს თვის ბოლოს ანგარიშს და მომსახურების თანხას იხდის შპს, რაც დიდი თანხებთან არის დაკავშირებული. აქ მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ მოსახლეობის მიერ გადახდილი თანხა შედის მერიის ანგარიშზე. კომპანიას არ აინტერესებს, რამდენი ადამიანი გადაიხდის ფულს და იმგზავრებს, ეს არის მერიის საზრუნავი. მან განუსაზღვრა კომპანიას თანხა, რომელსაც ის მიიღებს მგზავრების რაოდენობის მიუხედავად. ეს პრაქტიკა ჩვენი ბიუჯეტისთვის ე.წ. ფუფუნებაა. მიმდინარე პერიოდში შპს საკუთარ ხარჯებს თავად ფარავს, ვინაიდან ამოღება გაიზარდა. შეღავათი არის საწვავის ფასის შემცირება, ამიტომ 400 ათასი ლარით შევამცირეთ სუბსიდია, მაგრამ არის რეზერვი თუ საწვავის ფასი მოიმატებს.

რაც შეეხება რეკლამას, ვინაიდან რეკლამის თაობაზე, ორჯერ ჩატარდა ტენდერი და 10 მილიანიონი რეკლამაზე არ მოხდა გამოხმაურება. ამ საკითხთან დაკავშირებით უფლება მივეცით შპს-ს თუ ვინმე მიმართავს რამდენიმე დღეზეც ნებართვა გაცეს. თუ ხანგრძლივობა გაიზრდება, აღნიშნული საკითხს შემოვიტანთ საკრებულოზე. ამ შემთხვევაშიც შემიძლია გითხრათ, რომ ბათუმშიც ავტობუსზე რეკლამის მომზდება თბილისში არსებული კომპანიების მიერ ხდებოდა. ქუთაისში სამშენებლო და ჯანდაცვის კომპანიების მიერ ამ კუთხით მოთხოვნა არ არის, რა შეღავათით არ უნდა გავუკეთოთ, ერთპიროვნულად არავინ შემოდის“.

თეა ჯუღელი: - „უნივერსიტეტებისთვის ხომ არ შეგითავაზებით საკრეკლამო წინადადება, მე ვიცი რომ კერძო უნივერსიტეტებმა შეიძლება გამოხატოს დაინტერესება“.

იუზა უგულავა: - „უნივერსიტეტებს შევხდით მხოლოდ დასაქმების კუთხით. სტუდენტებს შევთავაზეთ მათთვის მორგებული გრაფიკის მომზადება ე.წ. „კონტროლიორის“ პოზიციაზე, მაგრამ მათგან მივიღეთ პასუხი, რომ ჯარიმის დაწერა გაუჭირდება, რაც ამ პოზიციაზე მათი ძირითად მოვალეობაა“.

თეა ჯუღელი: - „დეპუტატის კითხვები რომ გამოვაგზავნე, მივიღე პასუხი და იქ იყო მგზავრთა ნაკადის დათვლის მეთოდოლოგია და კვლევა როგორ ტარდება ტრანსპორტის სქემებთან დაკაშირებით, მაგრამ ალბათ საბოლოო შედეგს გვაცნობებთ აღნიშნულის თაობაზე“.

იუზა უგულავა: „როგორც მოგახსენეთ, დამთავრებული იქნა კველევა ტრანსპორტის სქემებთან დაკავშირებით. მომდევნო კვირაში შევხდებით ხელმძღვანელები, ხოლო შემდგომ ჩავნიშნოთ სხდომა, სადაც წარმოგიდგენთ ტრანსპორტის ახალ სქემებს. ეს იქნება ორი სახის: ერთი - სამსახურის მომზადებული, მეორე მკვლევარების მიერ წარმოდგენილი ვარიანტი, რომლის მიხედვით თითქმის ყველა სვლაგეზი იცვლება. ვიმსჯელოთ აღნიშნულის თაობაზე გაფართოებულ სხდომაზე და საბოლოო ვარიანტს წარვუდგენთ ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. მოკლედ, მოხდება ჩამოსვლა ვინც ამ კვლევას ახორციელებს და პრეზენტაციას გაგვიკეთებენ. რაც შეეხება შეღავათებს, კიდევ ერთხელ გიდასტურებთ აუცილებლად იქნება, კონკრეტულად სკოლის მოსწავლეებთან დაკავშირებით. სექტემბრის თვიდან ვგეგმავთ, მაგრამ ციფრებში დაკონკრეტება გამიჭირდება. აღნიშნულთან დაკავშირებით შევთანხმდებით და საკრებულოს სხდომაზე წარმოგიდგენთ ამ საკითხს.

მგზავრთა ნაკადის დათვლასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ ის მექანიზმი, რაც ჩვენ შარშან გავაკეთეთ უკეთესი არ არსებობს. კვლევაში დახმარება გაგვიწია უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომლებსაც გადაუნაწილეთ საათები და ყველა დღეს გააკეთეს აღრიცხვა. განხორციელდა 10 დღის მაჩვენებელთა აღრიცხვა. აღნიშნული პროცესი სეზონურად უნდა ჩატარდეს წელიწადში ორჯერ (ზამთარში და ზაფხულში) მაინც, თუ გავითვალისწინებთ მოქალაქეთა ქალაქიდან გადინების საკითხს. აღნიშნულის რეგულირება შპს-ს მოსაგვარებელია.“

ამირან კოპალეიშვილი: - „არის გრძელი და უფრო მოკლე ავტობუსები. რამდენად შესაძლებელია გრძელი ავტობუსების სვლა-გეზი მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიებზე რომ განისაზღვროს?“

იუზა უგულავა: - „რომ დავთვალეთ ხარჯები, გრძელი ავტობუსების მოვლა უფრო ნაკლები ჯდება, ვიდრე მოკლესი. რემონტის თანხას თუ ვიგულისხმებთ, დიდი ავტობუსის ხარჯი არის 10 ათასი, მოკლე ავტობუსის - 15 ათასი ლარი ჯდება. ამიტომ, ჩვენი ბიუჯეტისთვის უკეთესია დიდი ავტობუსის შეძენა, მაგრამ მისი სვლა-გეზი ქუთაისის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს ერთნაირად ვერ მოიცავს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ „საფიჩხიის“ ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია. ზუსტად ამიტომ არის შერჩეული ქალაქის ცენტრალური ტერიტორიაზე მათი სვლა-გეზი. ასევე მინდა დავამატო, რომ ვფიქრობთ ბიუჯეტში მილიონი ლარის რეზერვის გაკეთებას, რომ მერიამ გამოაცხადოს ტენდერი და საკუთარი ხარჯებით მოახდინოს წლის ბოლოს 10 მიკროავტობუსის შეძენა“.

ბაქარ მახარაძე: - „ავტოსაგზაო შემთხვევებისას როგორ არის დაცული მძღოლის ინტერესი და რატომ ხდება მძღოლების გადინება?“

იუზა უგულავა: - „ხელშეკრულებაში გვიწერია, რომ თუ მძღოლის ბრალეულობითაა დაზიანება, მძღოლი ანაზღაურებს. ეგ საკითხი დავარეგულირეთ იმით, რომ მათ შეუძლათ სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგინონ და ამით განისაზღვრება გადასახდელი თანხა ან მოეხსნებათ. ჩვენ ვცდილობთ ავტობუსებზე საგარანტიო თანხა გავახანგრძლივოთ თუნდაც 1 წლით, რაც დიდი შეღავათს მოგვცემს საექსპლუატაციო ხარჯებში. მძღოლების პრობლემა არის, ახლაც 10-15 მძღოლი გვჭირდება“.

ამირან კოპალეიშვილი: - „ტრანსპორტს საგარანტიო ან დაზღვევა აქვს?“

იუზა უგულავა: - „საგარანტიო გვქონდა ერთ წლიანი და ჩვენი წერილის შემდგომ გავახანგრძლივეთ კიდევ ერთი წლით. თუ საგარანტიო არ გვექნება, 4 მილიონის დოტაცია არ გვეყოფა. დაზღვევა ჩვენ არ გვაქცვს, მაგრამ თბილისში მოიძებნა კერძო კომპანია, რომელიც განახორციელებს მიკროავტობუსების დაზღვევას 70 ათას ლარად, მაგრამ თუ ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდება მძღოლის ბრალეულობით, ამ თანხას დაფარავს სადაზღვევო, რომლის ანაზღაურებაც მძღოლს მოუწევს“.

თეა ჯუღელი: - „რამდენი ქალი მძღოლი გვყავს?“

იუზა უგულავა: - „აღნიშნული კუთხით ჩამოვიყვანეთ არასამთავრობო ორგანიზაცია და შევახვედრეთ სატრანსპორტო კომპანიას, სურვილის გამოხატვის შემთხვევაში საკუთარი ხარჯით გადაამზადებდნენ ქალბატონებს, მაგრამ მსურველი არ არის. თბილისის მაგალითს თუ ავიღებთ, იქაც არ არის ბევრი, დაახლოებით 15 ქალი მძღოლი ჰყავს და გარკვეული შეღავათებით სარგებლობენ, მაგრამ არა ხელფასის კუთხით, ხელფასის სარგო ერთნაირია“.

თეა ჯუღელი: - „ქუთაისის აეროპორტთან დაკავშირებით ტრანპორტის დანიშვნის საკითხი თუ განიხილება, ვინაიდან აღნიშნულთან დაკავშირებით დიდი მოთხოვნა და ინტერესი არსებობს? ზაფხულში ტურისტების ნაკადი იმატებს და აეროპორტის ტერიტორიაზე ავტომობილების რაოდენობა ბევრია, ალბათ ტრანსპორტის დანიშვნით მათი რაოდენობა მოიკლებს“.

თინათინ ბერიშვილი: - „საგრანტო პროგრამის ფარგლებში იგეგმება ორი ელექტროავტობუსის შეძენა, რომელიც მოემსახურება აღნიშნულ მარშრუტს“.

იუზა უგულავა: - „იქ განთავსებული ტაქსების რეგულირება ჩვენი კომპეტენცია არ არის, ვინაიდან ეს აეროპორტის შემოსავალია. რაც შეეხება ტრანსპორტის დანიშვნას, გვესაჭიროება ნებართვა, რომლიც უნდა მოგვცეს ეკონომიკის სამინისტრომ, არამგონია რომ ეს საკითხი წლის ბოლომდე მოგვარდეს. თუ წელს ტენდერი გამოვაცხადეთ ესეც კარგი იქნება“.

ბაქარ მახარაძე: - „ნებართვების მოპოვებას რა პერიოდი ჭირდება?“

იუზა უგულავა: - „მიმართვების მომზადებაა საჭირო და თანხმობების მიღება. ნებართვისთვის უნდა წარვადგინოთ ორი სადგურის რეგისტრაცია და თუ ვინმეს საკუთრებაში არის - ნებართვა. შემდეგ გამოყოფენ ადგილებს“.

თეა ჯუღელი: - „თუ ეს ყველაფერი მოგვარდება, რამდენი ავტობუსი გვეყოლება და რა ინტერვალით ივლის? რა მოცულობის არის და რამდენ მგზავრს დაიტევს ეს ავტობუსი?“

იუზა უგულავა: - „თუ ეს ყველაფერი იქნება, ყოველ ერთ საათში ივლის 2 ავტობუსი, აეროპორტიდან ქალაქის ცენტრამდე. ავტობუსი 12 მეტრიანია, 250 ათასი ევროს ღირებულების, ისეთია, თბილისმა ჩამოიყვანა“.

მაია სიმონიძე: - „ვინ შეიძენს ამ ავტობუსს?“

თინათინ ბერიშვილი: - „ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია გრანტის ფარგლებში“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ეკონომიკური განვითარების და ტრანსპორტის განყოფილების ანგარიში.

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე.

გაერთიანებული სხდომის ფარგლებში შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურში შემოსული საპროექტო განაცხადის ირგვლივ სამსახურის მიერ გაცემული შენიშვნები, მითითებები, ხარვეზები სასურველია, იქნეს ერთიანად შემუშავებული და მიწოდებული განმცხადებლისათვის. განმცხადებელს ხარვეზების გამოსასწორებლად უნდა განესაზღვროს კონკრეტული ვადა, რომელიც დასაბუთებული და წინასწარ განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში შეიძლება გადაგრძელდეს არაუმეტეს კონკრეტული ვადით. განმცხადებლის მიერ დაზუსტებული განცხადების სამსახურში წარმოდგენის შემდეგ, სამსახურმა კონკრეტულ ვადაში უნდა მიიღოს დასაბუთებული პასუხი დაკმაყოფილების შესახებ, შესაძლებელია, სამსახურს განსაზღვრული ჰქონდეს მაგალითად 10 დღიანი ვადა, თუმცა, თუკი სამსახურის პასუხი 10 დღემდე ვადაში იქნება მომზადებული, ვადის ამოწურვამდე მიაწოდოს იგი განმცხადებელს მოქალაქეზე მორგებული ეფექტიანი და ეფექტური სერვისის შეთავაზების მიზნით. საპროექტო განაცხადის მიღების, ხარვეზის დადგენის, გამოსწორებისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა იყოს დროული, რათა დროში გახანგრძლივებული პროცესების გამო განმცხადებელმა ინტერესი არ დაკარგოს, როგორც თავისი საკითხის, ასევე, არ დაკარგოს ნდობა ინსტიტუციის მიმართ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სამსახურს ჰყავდეს გადამზადებული კვალიფიციური კადრი (კონსულტანტი), რომელიც დაინტერესებულ პირს/განმცხადებელს მიაწვდის სრულყოფილ ინფორმაციას წარსადგენი დოკუმენტაციების, ადმინისტრაციული წარმოების შესახებ; სახელმწიფო აუდიტის დასკვნის შესაბამისად, მერიამ უნდა შეიმუშავოს დოკუმენტი მშენებლობის ნებართვების შესახებ. დოკუმენტით უნდა განისაზღვროს სამშენებლო შესყიდვების კონტროლის ეტაპები, მონიტორინგი, კონტროლის მექანიზმები, რაც ხელს შეწყობს ხარვეზების აღმოფხვრას“.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ჩართულობით უნდა შეისწავლოს ქალაქ ქუთაისში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ამჟამინდელი მდგომარეობა და იზრუნოს არსებული პრობლემების გადაჭრაზე;

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ მუნიციპალური ტრანსპორტის მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და მოსახლეობისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდების მიზნით, უნდა გამოიყენოს მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილებები, მუდმივი მონიტორინგი აწარმოოს იმის შესახებ თუ რამდენად ასრულებს ხელშეკრულების მეორე მხარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ხოლო დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში იმოქმედოს ხელშეკრულების მიხედვით და მოახდინოს სათანადო რეაგირება. მაგალითად, გაკონტროლდეს სამგზავრო ბარათების მარაგების არსებობა სათანადო ობიექტებსა და სივრცეებში, საჭიროებისამებრ გაიზარდოს იმ ობიექტთა ოდენობა, სადაც სამგზავრო ბარათების შეძენა იქნება შესაძლებელი; შეამოწმოს რამდენად მოწესრიგებულია ბარათზე სამგზავრო თანხის ჩასარიცხი აპარატი შესაბამისი მიზნისათვის გამოსაყენებლად და ა.შ. მგზავრთა ნაწილს არ აქვს ინფორმაცია სამგზავრო ბარათის შეძენისა და მასზე თანხის ჩარიცხვის პროცედურის შესახებ, ხელშეკრულების მხარეებმა (მუნიციპალიტეტის მერიამ ან/და დაკონტრაქტებულმა იურიდიულმა პირმა) აღნიშნულ პროცედურას რეკლამირება უნდა გაუკეთონ, რათა მგზავრი სრულად ინფორმირებული იყოს;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისსა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს შორის მგზავრთა გადაყვანის მიზნით რეგულარული ტრანსპორტის დანიშვნა;

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე **თეა ჯუღელი**

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ზაქარ მახარაძე**

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის
კომისიის თავმჯდომარე **ამირან კოპალეიშვილი**